პოლიტიკური ჟურნალისტიკა

მალხაზ მაცაბერიძე

სალექციო კურსი: პოლიტიკური კომუნიკაცია

თემა XI

თბილისი
2014

შინაარსი

1.პოლიტიკური ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია..... 3
1.1. რა არის პოლიტიკური ჟურნალისტიკა..... 3
1.2.კავშირი პოლიტიკურ მეცნიერებასა და პოლიტიკურ ჟურნალისტიკას შორის 4
1.3.პოლიტიკისა და ჟურნალისტიკის ურთიერთობის ტიპები..... 6
მაქს ვებერი..... 8
პოლიტიკური ჟურნალისტიკის შესახებ..... 8
ჯეფ ჯარვისი . ჟურნალისტიკა პრინციპების და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაა, სხვა შემთხვევაში ის ჟურნალისტიკა არ არის..... 13
ჯეფ ჯარვისი. ჟურნალისტები არ არსებობენ 18
საქართველო: ჟურნალისტიკიდან პოლიტიკაში და - პირიქით..... 23

1.პოლიტიკური ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია

1.1. რა არის პოლიტიკური ჟურნალისტიკა

ჟურნალისტიკა არის მოვლენების, საკითხებისა და მიმდინარე ტენდენციების ანალიზი და ფართო საზოგადოებისათვის მათი გაცნობა. თანამედროვე საზოგადოებაში ახალი ამბების მედია გახდა ინფორმაციის და მოსაზრების მთავარი მიმწოდებელი საზოგადოებრვი აზრის ფორმირების პროცესში.

პოლიტიკური ჟურნალისტიკა ჟურნალისტიკის ფართო სფეროა, რომელიც მოიცავს პოლიტიკისა და პოლიტიკური მეცნიერების ყველა ასპექტს, თუმცა აგრეთვე მოიცავს ხელისუფლებასთან და პოლიტიკურ ძალაუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. პოლიტიკური ჟურნალისტიკა ხშირად განიხილება, როგორც ანალიტიკური ჟურნალისტიკა, რომელიც გულისხმობს მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ანალიზს, ინტერპრეტირებასა და განხილვას ახალი ამბების მედია-ექსპერტებისა და პუბლიცისტების მიერ. ტერმინ პოლიტიკურ ჟურნალისტიკას ზოგჯერ უარყოფითი მნიშნელობაც აქვს.

კომუნიკაცია არის მოსაზრებების, შეტყობინების და ინფორმაციის ურთიერთგაცვლა საუბრის, გარეგნული ეფექტების, მინიშნებების, წერილობითი ფორმების ან მოქმედების გამოყენებით. სიტყვა კომუნიკაცია მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „communis", რაც გაზიარებას ნიშნავს. საკომუნიკაციო პროცესი მოითხოვს ინფორმაციის გამგზავნს, შეტყობინებას და ინფორმაციის მიმღებს, რომელმაც არ უნდა იცოდეს საკომუნიკაციო პროცესის დროს შეტყობინების გამგზავნის განზრახვა. კომუნიკაცია შესაძლოა დამყარდეს დიდი მასშტაბის დროსა და სივრცეში.

პოლიტიკური კომუნიკაცია გულისხმობს ურთიერთკავშირს პოლიტიკურ მეცნიერებასა და კომუნიკაცას შორის და ეს კავშირი დამოკიდებულია ინფორმაციის გავრცელებასა და პოლიტიკურ ზეგავლენაზე.

1.2.კავშირი პოლიტიკურ მეცნიერებასა და პოლიტიკურ ჟურნალისტიკას შორის

გარკვეული კავშირი პოლიტიკურ მეცნიერებასა და პოლიტიკურ ჟურნალისტიკას შორის ცნობილია. მთავარი კითხვა ჩნდება იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის ურთიერთდამოკიდებულებაა პოლიტიკურ მეცნიერებასა და იმ ჟურნალისტებს შორის, რომელიც ყოველდღიურად აშუქებენ პოლიტიკურ საკითხებს. ის ფაქტი, რომ ჟურნალისტს მკვლევარისაგან განსხვავებით ნაკლები დრო აქვს საკითხის შესასწავლად ეს არაერთ პრობლემას აჩენს. ერთ-ერთი მოსაზრებით, პოლიტიკურ მეცნიერებას შეუძლია პოლიტიკური ჟურნალისტიკის მდგომარეობა შემდეგი ხუთი მიმართულებით გააუმჯობესოს:

- შექმნას ეპიზოდური მოვლენების სტრუქტურული კონტექსტი;
- ახალი ამბები დაეყრდნოს საღ მოსაზრებებს;
- სპინ-დოქტორის მეშვეობით პოლიტიკური მოვლენა გამოყენებულ იქნას პოლიტიკოსის ან პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ;
- შექმნას პოლიტიკური ანალიზისთვის უკეთესად ფორმულირებული ისტორიული ტენდენციების აღწერილობა;
- გამოააშკარავოს, თუ რომელი საკითხები არის ნაკლებად შესწავლილი ექსპერტების მიერ და რატომ;

კარგი ბიზნეს-რეპორტაჟი აღწერს, თუ როგორ მოქმედებს მაკროეკონომიკური ძალები კონკრეტული ფირმის სტრატეგიასა და ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე, პოლიტიკური სიუჟეტის შემთხვევაში კი შესაძლოა პოლიტიკური კანდიდატის გადაწყვეტილებები და პოლიტიკური ფიგურების არჩევა არ იყოს გაშუქებული ფართო კონტექსტში. პოლიტიკური ინფორმაციის კონტექსტი უნდა იყოს ერთგვარი რეკომენდაციული ჩარჩო, რომელიც აუდიტორიას დაეხმარება პოლიტიკური ლიდერებისა და მოქალაქეების მოქმედების გაგებასა და ახსნაში.

ზოგიერთ შემთხვევაში პოლიტიკურმა მეცნიერებამ შესაძლოა მოახდინოს იმ ამბების იდენტიფიცირება, რომელიც იმსახურებს საზოგადოების ყურადღებას და საჭიროა მისი ახალ ამბებში განთავსება.

პოლიტიკოსები და პოლიტიკური აქტორები ზოგჯერ ცდილობენ გადაჭარბებული ყურადღება გაამახვილონ ცალკეულ მოვლენებზე, ხოლო მოვლენების რეალური შედეგების გაშუქება კი შეზღუდულია. პოლიტიკური მიმომხილველები ხშირად ამგვარ ტენდენციას საკუთარ რეპორტაჟებშიც ამკვიდრებენ.

პოლიტიკური ინფორმაციის ან მოვლენის გადმოცემისას, როგორც რაოდენობრივი, აგრეთვე თვისებრივი კვლევის გამოყენებამ შესაძლოა უფრო მეტად დოკუმენტური ხასიათი და ისტორიული შედარების საფუძველი მისცეს პოლიტიკურ ინფორმაციას.

პოლიტიკური კამპანიის გაშუქებისას პოლიტიკური კამპანიის მიმომხილველს შეუძლია ინფორმაციის საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით მოიძიოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა შეხედულებაა პარტიის შიგნით და ვის უჭერენ მხარს პარტიული ლიდერები. პოლიტიკური მეცნიერების ექსპერტები პოლიტიკური მანევრირების არაერთ ხერხს იცნობენ და საუბრობენ მედიასთან მათ შესახებ, თუმცა გარკვეულ შემთხვევაში შესაძლოა საჭირო იყოს საზოგადოების ინფორმირებისთვის ახალი სახის ინფორმაცია.

1.3.პოლიტიკისა და ჟურნალისტიკის ურთიერთობის ტიპები

გამოყოფენ პოლიტიკისა და ჟურნალისტიკის ურთიერთობის შემდეგ ტიპებს:

- ***პარტიული ჟურნალისტიკა*** – მედიასაშუალება მხარს უჭერს კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას ან იდეოლოგიას. მისი წარმომადგენლები იყვნენ ჯონ ვილკსი ბრიტანეთში და ბენჟამინ ფრანკლინი ამერიკაში.
- ***მეოთხე ხელისუფლება*** – ამგვარ ტიპს განიხილავდა დელანი. ჟურნალისტიკის ამ ტიპისთვის დამახასიათებელია ჟურნალისტის ჩართულობა პოლიტიკურ პროცესში – როგორც მონაწილე პოლიტიკის ფორმულირების პროცესში, რადგან ჟურნალისტი გადაწყვეტილების მიმღებ ელიტას აწვდის ინფორმაციას, შეხედულებებსა და დებატებისთვის საჭირო ბაზისს.
- ***მარკეტინგული (ყვითელი) ჟურნალისტიკა*** – გაჩნდა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ამერიკაში და მას სათავე დაუდეს ჯოზეფ პულიცერმა და რანდოფ ჰერსტმა. მედიის ამგვარი ტიპი სენსაციას ეყრდნობა. ამ დროს კონფლიქტი იჩენს თავს ჟურნალისტებსა და პოლიტიკოსებს შორის, როდესაც „ყვითელი" ისტორიები ეხება პოლიტიკურ მოთამაშეებს. მეცხრამეტე საუკუნის ამერიკის ჟურნალისტიკა ასოცირდებოდა კორუფციასთან, სადაც პოლიტიკოსები ფულს უხდიდნენ ჟურნალისტებს, რომ არ გამოექვეყნებინათ ნეგატიური შინაარსის ისტორიები.
- ***„მოდარაჯე ძაღლი"*** – პოლიტიკოსების საწინააღმდეგო მოქმედება, მოიცავს პიროვნული მახასიათებლების

გამოყენებას, რადგან მათი მასმედიით გამოყენება გაცილებით იოლია, ვიდრე პოლიტიკური საკითხების.

- ***ლაპდოგის ჟურნალისტიკა*** – მედიის ამ ტიპისთვის დამახასიათებელია პოლიტიკოსებთან თანამშრომლობა. ამ დროს პოლიტიკოსებთან თანამშრომლობა არ არის განპირობებული პოლიტიკური შეხედულებებით. ამ დროს ჟურნალისტიკის „მოდარაჯე ძაღლის ტიპი" განიხილება ნაკლებეფექტურად პრობლემის გადაწყვეტის კუთხით. ჟურნალისტიკის ამგვარი ტიპი იყო დამახასიათებელი ამერიკის მედიისთვის 1930-60 –იან წლებში, რუზველტის დროს.

პოლიტიკოსისთვის საზოგადოებაში ცნობადობა არის წარმატების საწინდარი. პოლიტიკური ახალი ამბების კომერციალიზაციამ გაზარდა იმგვარ ისტორიებზე მოთხოვნა, სადაც პოლიტიკოსი ნათლად არის წარმოდგენილი. მეორეს მხრივ, პოლიტიკურ მენეჯერებს ეძლევათ საშუალება შეამცირონ საზოგადოების კრიტიკული განწყობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმართ.

ლიბერალი ჟურნალისტები საკუთარ როლს შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით განსაზღვრავენ:

- უნდა იყვნენ საჭიროებისამებრ კრიტიკულად განწყობილი პოლიტიკოსების მიმართ;
- იბრძოლონ მოქალაქეთა უფლებების დასაცავად, როდესაც ხდება სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება;
- შექმნან დებატებისთვის საჭირო ბაზისი.

ბევრი თანამედროვე ჟურნალისტი თავის საქმიანობაში ეყრდნობა სანახაობისა და სენსაციის გავრცელების პრინციპს, თუმცა მიაჩნია, რომ „მოდარაჯე ძაღლის" პრინციპებით ხელმძღვანელობს. ამგვარმა დამოკიდებულებამ ჟურნალისტიკა ერთგვარად ჰიბრიდულ საქმიანობად აქცია, სადაც „მოდარაჯე

ძაღლისა” და პოლიტიკური მოთამაშეების „მახასიათებლები” და მაკომპრომიტირებელი ინფორმაცია ერთადაა თავმოყრილი.

მაქს ვებერი
პოლიტიკური ჟურნალისტიკის შესახებ
(ფრაგმენტი ნაშრომიდან "პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა")

კონსტიტუციური სახელმწიფოდან, სრულიად და საბოლოოდ კი დემოკრატიის პერიოდიდან მოყოლებული, დასავლეთში პოლიტიკოსის მთავარი ტიპი არის "დემაგოგი". იმ უსიამო ელფერმა, რომელიც ამ სიტყვას დაჰკრავს, არ უნდა დაგვავიწყოს, რომ პირველი, ვინაც ამ სახელს ატარებდა კლეონი როდი იყო, არამედ პერიკლე. მას არანაირი თანამდებობა არ ეჭირა, ანდა განსხვავებით ათენის დემოკრატიაში კენჭისყრით ნარგუნები თანამდებობებისა, დაკისრებული ჰქონდა უზენაესი სტრატეგის ერთადერთი არჩევითი მოვალეობა; იგი მართავდა ათენის დემოსის სუვერენულ კრებას. სიტყვას თანამედროვე დემაგოგიც იყენებს და უსაშველოდაც კი, თუ თვალს მივადევნებთ თანამედროვე კანდიდატთა წინასაარჩევნო გამოსვლებს. მაგრამ უფრო მეტი შეუპოვრობით გამოიყენება ბეჭდვითი სიტყვა; ამიტომაცაა, რომ დღესდღეობით დემაგოგის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი ესაა პოლიტიკური პუბლიცისტი და უპირატესად, ჟურნალისტი.

თანამედროვე პოლიტიკური ჟურნალისტიკა ცალკე თემაა და მისი მოკლე გარჩევაც კი ამ მოხსენების ფარგლებში შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ ზოგიერთი რამ ამ საკითხისა უსათუოდ ჩვენს თემასაც ეხება. ჟურნალისტის ბედი, ისევე როგორც ბედისწერა ყველა დემაგოგისა ისაა, რომ იგი არ ემორჩილება მტკიცე სოციალურ კლასიფიკაციას; ადვოკატთა და

ხელოვანთა ბედიც ეგაა; და ეს ასეა სულ ცოტა კონტინენტზე მაინც, განსხვავებით ინგლისისაგან და იმ საზოგადოებრივი მდგომარეობიდან, რაც ადრე პრუსიაში იყო შექმნილი. ჟურნალისტი განეკუთვნება პარიათა რაღაცნაირ კასტას, რომელიც "საზოგადოებაში" სოციალურად ფასდება მისი იმ წარმომადგენლების მიხედვით, რომლებიც ზნეობრივი თვალსაზრისით ყველაზე დაბლა დგანან. სწორედ აქედან მომდინარეობს ჟურნალისტებსა და მათ საქმიანობაზე საყოველთაოდ გავრცელებული, ყოვლად უცნაური წარმოდგენები. ყველას როდი აქვს შეგნებული ის, რომ კარგი ჟურნალისტური ნამოღვაწარი, სულ ცოტა, იმდენივე "სულის" შთაბერვას მაინც მოითხოვს, რამდენსაც ნებისმიერი მეცნიერული მონაპოვარი; და უპირატესად ეს ასეა იმ აუცილებლობის გამოისობით, რომ ჟურნალისტს მოეთხოვება დაუყოვნებლივ, საზოგადოებრივი აზრის შეკვეთისთანავე იღვაწოს, რათა დროული ეფექტი მოახდინოს. არას ვამბობთ ჟურნალისტისა და მეცნიერის შემოქმედების სრულიად განსხვავებულ პირობებზე. რაკი მეხსიერებაში გამუდმებით ის ზემოქმედება გვაქვს ხოლმე აღბეჭდილი, რასაც ჩვენში უპასუხისმგებლო ჟურნალისტური ნამოღვაწარი ტოვებს; ამიტომაც არავინ უწევს ანგარიშს იმას, რომ ჟურნალისტს ბევრად მეტი პასუხისმგებლობა აკისრია და რომ, როგორც ამაში ომმა დაგვარწმუნა მისი პასუხისმგებლობის გრძნობა საშუალოდ ჩამორჩება კი არა და, ბევრად აღემატება კიდეც სწავლულის პასუხისმგებლობის გრძნობას; ცოტა თუ ბევრად კარგი ჟურნალისტი რომ საშუალოზე მეტად მორიდებულია, ვიდრე სხვა ჯურის ხალხი – ამას არად დაგიდევენ; მაგრამ ამ ფაქტს ვერსად გაექცევი. შეუდარებლად უფრო სამძიმო ცდუნებებმა, რომელიც თან სდევს ხოლმე ჟურნალისტის პროფესიას და ჟურნალისტური მოღვაწეობის სხვა პირობებმა თანამედროვეობაში ის შედეგი გამოიღეს, რომ პუბლიკას პრესისადმი რაღაც განსაკუთრებული, სიძულვილითა და გულსაკლავი კრთომით შეზავებული გრძნობა გამოუმუშავდა.

ამჯერად შეუძლებელია ვილაპარაკოთ იმაზე თუ რითი შეიძლება ამ მდგომარეობას ესაშველოს; გვაინტერესებს მხოლოდ ჟურნალისტის როგორც მოხელის პოლიტიკური ბედი, მისი შანსი მაღალ პოლიტიკურ პოსტებზე დაწინაურებისა. დღემდე ასეთი რამ მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში იყო შესაძლებელი, მაგრა მასშიაც კი რედაქტორის პოსტი უპირატესად მხოლოდ და მხოლოდ სამოხელეო თანამდებობა იყო და არანაირ საფუძველს არ იძლეოდა იმისას, რომ ჟურნალისტი პარტიის ბელადად დაწინაურებულიყო.

ბურჟუაზიულ პარტიებში ამ გზით პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების შანსები ერთობ გაუარესებულია, მაშინ როდესაც ჟურნალისტთა წინა თაობებს ჯერ კიდევ ჰქონდათ ამის შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, ყოველ ანგარიშგასაწევ პოლიტიკოსს ესაჭიროება ის ზეგავლენა და კავშირ-ურთიერთობანი რასაც პრესა ფლობს. შეიძლება ასეთი დასკვნა მოულოდნელიც იყოს, მაგრამ ჟურნალისტთა რიგებიდან პარტიების წინამძღოლების დაწინაურება იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ჟურნალისტი, მეტადრე კი უქონელი, მხოლოდღა თავისი ხელობის იმედადაა და ამდენად სულ უფრო მეტად "მოუცლელია"; ეს კი განპირობებულია მისი მოღვაწეობის ინტენსივობისა და აქტუალობის არაჩვეულებრივი ზრდით. ჟურნალისტს ყოველთვის მძიმე ტვირთად აწვა ყოველდღიური თუ არა, ყოველკვირეული სტატიებით მაინც, ლუკმა-პურის ძიება; და მე მრავლად ვიცი მაგალითები იმისა, როცა ეს სავალალო ხელმოკლეობა გარეგნულზე მეტად შინაგანად ბორკავდა ხოლმე ბელადურ ნატურებს ძალაუფლებისაკენ აღმავალ გზაზე. პრესის დამოკიდებულებამ სახელმწიფო და პარტიულ ხელისუფალთადმი ძველი რეჟიმის პირობებში ერთობ დასცა ჟურნალისტიკის დონე; თუმცა ეს უკვე ცალკე თემაა. გერმანიისადმი მტრულ ქვეყნებში კი ეს დამოკიდებულება სხვა სახისა იყო. თუმცა ყველა თანამედროვე სახელმწიფოში, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, მოქმედებს

ერთი საერთო კანონზომიერება, რომლის ძალითაც "ლორდ" ნორტკლიცის მსგავს პრესის კაპიტალისტურ მაგნატს ყოველთვის ბევრად უფრო მეტი პოლიტიკური გავლენის მოპოვება შეუძლია, ვიდრე გაზეთის მუშაკს.

ყოველ შემთხვევაში აქამდე ასე იყო გერმანიაში მაინც; აქ მსხვილი კაპიტალისტური კონცერნები, რომელთაც იმთავითვე ხელთ იგდეს მცირე და დიდი ზომის "ცნობის ფურცლები", პოლიტიკური ინდიფერენტიზმის ტიპურ აღმზრდელებად მოგვევლინენ. ვინაიდან დამოუკიდებელი საგაზეთო პოლიტიკით აღარ შეიძლებოდა აღარაფრის დამსახურება, მეტადრე კი პოლიტიკურად გაბატონებულ ხელისუფალთა ისეთი კეთილგანწყობისა, რომელიც ამ საქმეს წაადგებოდა. გაზეთებში საცნობარო საქმეთწარმოება პრესაზე ზემოქმედების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად იქცა ომიანობის დროს და მშვიდობიანობის პირობებშიც მის ხელიდან გაშვებას, ეტყობა, აღარ აპირებენ. დიდი პრესა ახერხებს დაუსხლტეს ამ ზეგავლენას, მაშინ როცა ამ მხრივ ფრიად შეჭირვებულ მდგომარეობაშია მცირე გამოცემები. მაგრამ ჟურნალისტის სარბიელი, მიუხედავად მთელი მისი ხიბლისა, ჩვენში დღემდე არასოდეს ყოფილა პარტიული ბელადის მდგომარეობამდე ამაღლების ბუნებრივი გზა, რა გინდ დიდი, უპირატესად პოლიტიკური პასუხისმგებლობაც უნდა ეკისრებოდეს მას თავისი ნამოღვაწარის მასებში ზეგავლენაზე; სამომავლოდაც ასე იქნება თუ არა, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, ასევე ძნელია ვამტკიცოთ, შეუძლია თუ არა ამ ვითარების ძირეული შეცვლა ანონიმურობის პრინციპის მსხვრევას, რომელსაც ყველა თუ არა, ზოგიერთი ჟურნალისტი მაინც მტკიცედ იცავს. შეიძლება ვისმე ასე ეგონოს, მაგრამ პასუხისმგებლობის ამაღლებული გრძნობის გამომუშავება სულაც არაა შესაძლებელი იმ გზით, რომ გაზეთების "ხელმძღვანელებად" მწერლული ნიჭით დაჯილდოებული პირები მოიზიდო. სამწუხაროდ, საამისო ბევრი შემთხვევა ჩვენში ცნობილი ომიანობის წლებიდან. არა აქვს მნიშვნელობა, რომელ

პარტიას ეკუთვნოდნენ. მაგრამ ფაქტია, რომ ამ გზით ფრთები ისეთმა ვულგარულმა გაზეთებმა გაშალეს, რომლებსაც გულდასმით არავინ არასოდეს კითხულობდა. მავანმა და მავანმა პრესის უფალმა, სულ ერთია ვინ იყო იგი, გამომცემელი თუ სენსაციაზე დახარბებული ჟურნალისტი, სიმდიდრე კი მოიხვეჭა, მაგრამ აღიარება – ვერა. პრინციპის საწინააღმდეგოდ არას ვამბობ, საკითხის სირთულეზე მოგახსენებთ მხოლოდ და არც იმას ვამტკიცებ, თითქოს ეს მოვლენა საყოველთაო ხასიათის იყოს; მაგრამ ერთი რამ კია, აქამდე ჟურნალისტის სარბიელი ჩვენში არც ნამდვილ ბელადად გახდომის გზა ყოფილა და არცა – პასუხისმგებლობით მოსილი პოლიტიკის წარმოებისა. ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, რა იქნება სამომავლოდ. ოღონდ ნებისმიერ პირობებში ჟურნალისტური სარბიელი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპარეზი იქნება იმისა, რომ შთაგონებული დახელოვნებით ეწეოდე პოლიტიკურ მოღვაწეობას. მაგრამ ყველას როდი შეუძლია, ამ გზით იაროს. განსაკუთრებით ეს არ ძალუძს სუსტი ნებისყოფის ადამიანებს, რომელთაც სულიერი წონასწორობის შენარჩუნება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ხელეწიფებათ, როცა წოდებრივად უზრუნველყოფილნი არიან. მართალია, ახალგაზრდა მეცნიერის ცხოვრებისეული გზა გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული, მაგრამ გზის აბნევიდან მას ის მტკიცე წოდებრივი წეს-ჩვეულებანი იფარავენ, მის ირგვლივ რომ აღმართულან. ჟურნალისტის ცხოვრებისეული გზა კი ერთი გაბმული რისკია. ცხოვრება ისეთ მძიმე გამოცდას უწყობს მას, როგორც არავის. მწარე პროფესიულ გამოცდილებას კიდევ არა უშავს, მაგრამ მეტადრე სამძიმო ის შინაგანი პრეტენზიებია, სწორედ რომ ბედისნებიერ ჟურნალისტს წაეყენება. სულაც არაა უმნიშვნელო ამბავი, ისე შეხვიდე ძლიერთა ამა სოფლისთა სალონში როგორც სწორი სწორთან; – უეცრად თავი ამოჰყო საყოველთაო პირფერობის გარემოცვაში შენთან ურთიერთობის შიშს რომ უშვია და თანაც იცოდე, რომ საკმარისია კარის ზღურბლს გასასვლელად გადააბიჯო, რათა

ოჯახის უფროსი მაშინვე თავისმართლებას მოჰყვეს სტუმრების წინაშე "გაზეთის ბიჭბუჭანასთან" ურთიერთობის გამო. არც ისაა წვრილმანი საქმე, ნებისმიერ ცხოვრებისეულ პრობლემაზე, რომელსაც კი საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა "ბაზარი" დაგიკვეთს, სწრაფად და დაბეჯითებით გამოთქვა საკუთარი აზრი, ამასთან ისე, რომ არც აბსოლუტურად ერთფეროვნად წარმოადგინო ისინი და არც ისე ქნა, რომ ყველაფერი წამოროშო და თავს დაიტეხო სრული თვითგაშიშვლების სამარცხვინო და ულმობელი შედეგები. გასაკვირი ის კი არ არის, რომ ამ ქვეყნად მრავლად მოიძევებიან თავგზააბნეული და შერცხვენილი ჟურნალისტები, არამედ ის, რომ მიუხედავად ყველაფრისა სწორედ ჟურნალისტთა ამქარი აერთიანებს უამრავ კაცურ კაცს; მაგრამ იოლი როდია, ეს გარეშე თვალმა შეამჩნიოს.

მართალია, ჟურნალისტი როგორც პროფესიონალი პოლიტიკოსი კარგა ხანია უკვე არსებობს, მაგრამ პარტიული მოხელე როგორც ასეთი, სულ რაღაც ათწლეულებისა და უფრო მეტი, უკანასკნელი წლების პირმშოც კი არის. ამიტომ აუცილებელია, გადავიდეთ პარტიული სისტემისა და ორგანიზაციის განხილვაზე, რათა გავიგოთ, თუ რა ადგილი უკავია პარტიულ მოხელეს ისტორიულ განვითარებაში.

მაქს ვებერი. პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა. გერმანულიდან თარგმნა გიორგი ბარამიძემ. თბილისი, გონი, 1994. გვ.41-46

ჯეფ ჯარვისი . ჟურნალისტიკა პრინციპების და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაა, სხვა შემთხვევაში ის ჟურნალისტიკა არ არის

გამოცემა : Buzz Machine *სტატია გამოქვეყნდა 2013 წლის 17 ივნისს*

ჯეი როზენმა დაწერა მახვილგონივრული ტექსტი, რომელშიც ჟურნალისტიკა ორ მიმართულებად გაყო: ჟურნალისტიკა პოლიტიკური პოზიციის გარეშე (მაგალითად, ტრადიციული ამერიკული ჟურნალისტიკა, რომელიც თავს ობიექტურად მიიჩნევს) და პოლიტიკური პოზიციით (გლენ გრინვალდის და Guardian-ის მაგალითი). ჯეი ასახელებს ამ მიდგომების წინაპირობებს და უპირატესობებს. New York Times-ის მარგარეტ სალივანის მსგავსად, ის აღნიშნავს, რომ ედუარდ სნოუდენმა საკუთარი მასალები გლენ გრინვალდს და Guardian-ს იმიტომ გადასცა, რომ ისინი პოლიტიკური პოზიციის მქონე ჟურნალისტიკას განასახიერებენ.

მე კიდევ უფრო შორს წავალ და შევეცდები დავამტკიცო ის, რომ, პირველ რიგში, ის, რასაც გრინვალდი და Guardian-ი აკეთებენ - ეს არის არა იმდენად პოლიტიკა, რამდენადაც საზოგადოებრივი საქმიანობა, და მეორეც, რომ ნებისმიერი ჟურნალისტიკა - ეს ან არის საზოგადოებრივი საქმიანობა, ან საერთოდ არ არის ჟურნალისტიკა.

პირველი პუნქტი: უსაფრთხოების ნაციონალურ სააგენტოსთან (CIA) დაკავშირებულ ისტორიაში, გრინვალდი და Guardian-ი არ განამტკიცებდნენ საკუთარი პოლიტიკური ბანაკის პოზიციებს. პირიქით, მიუხედავად იმისა, რომ გრინვალდიც და Guardian-იც პოლიტიკაში თავს ლიბერალთა ბანაკს მიაკუთვნებენ (მეტიც, Guardian-ს აქვს პრეტენზია, რომ ის, არც მეტი არც ნაკლები, "მსოფლიოს წამყვანი ლიბერალური ხმაა"), ისინი თავს დაესხნენ პროგრამას, რომელსაც აწარმოებს და ამართლებს ამერიკის ლიბერალური ადმინისტრაცია, და აშკარაა, რომ, ყველაზე ცოტა ამ ადმინისტრაციას გარკვეული პრობლემები შეუქმნეს. ასეთი ქმედებით, გრინვალდმა და Guardian-მა აჩვენეს ჟურნალისტიკის უდიდესი ღირებულება: ინტელექტუალური პატიოსნება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი მიუკერძოებლები არიან. მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ სიმართლის გულისთვის ისინი მზად არიან ზიანი

მიაყენონ საკუთარ მხარეს. გრინვალდი და Guardian-ი იცავენ არა საკუთარი მოკავშირეების პოლიტიკურ ინტერესებს, არამედ პრინციპებს: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, მთავრობის პასუხისმგებლობას და გამჭვირვალეობას, ძალაუფლების ბალანსს და ხალხის უფლებას იცოდეს.

მეორე პუნქტი: თუკი ამ თვალსაზრისით მივუდგებით, ხომ არ დაემსგავსება ნებისმიერი ჟურნალისტიკა საზოგადოებრივ საქმიანობას? და ხომ არ იქნება მისი ხარისხის რეალური საზომი პრინციპების და საზოგადოების ინტერესების დაცვისათვის მზადყოფნა? როდესაც ჩვენ ვირჩევთ იმას, თუ რა და როგორ უნდა დავიცვათ და რა უნდა იცოდეს საზოგადოებამ, ჩვენ ხომ მიგვაჩნია, რომ სწორედ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად ვმოქმედებთ? როგორც ჯეიმს ქერიმ აღნიშნა: "ჟურნალისტიკისათვის საკვანძო სიტყვა, მისი ალფა და ომეგა, სიტყვა, რომლის გარეშეც ამ საქმიანობას აზრი ეკარგება - ეს არის სიტყვა "საზოგადოება".

როდესაც Washington Post (რომლის ერთ-ერთი მთავარი რედაქტორი, როგორც ცნობილია, არჩევნებში მონაწილეობაზეც კი უარს ამბობდა, რათა არ დაერღვია პოლიტიკური პოზიციის არქონის ეთიკა) გადაწყვეტს დაწეროს მთავრობის გაუმჭვირვალეობაზე ან საჯარო კლინიკაში ვეტერანებისადმი ცუდი მოპყრობის შესახებ ან პრეზიდენტის მხრიდან დარღვევებზე, ის, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ ინტერესებს იცავს. როდესაც რედაქტორი უშვებს ჟურნალისტს გამოიძიოს მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტები, უოლ-სთრითის აფიორა ან სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა - ეს საზოგადოებრივი საქმიანობაა. როდესაც გაზეთი დგება ღარიბების, დევნილების, დაჩაგრულების, მიტოვებულების ან უბრალოდ სისტემასთან დაპირისპირებული პატარა ადამიანის მხარეს - ეს საზოაგდოებრივი საქმიანობაა. მეტიც, როდესაც სამედიცინო ჟურნალისტიკა გვიამბობს, თუ როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან კიბო (ან, თუნდაც როგორ უნდა დავიკლოთ წონაში) - ეს

საზოგადოებრივი ჟურნალისტიკაა, რომელიც ჩვენს ინტერესებს იცავს. ჩემი აზრით, კრიტიკოსიც კი, რომელიც ფილმებზე რეცენზიებს წერს, იმისათვის, რომ ტყუილად ფული არ დავხარჯოთ, ნაწილობრივ ჩვენს ინტერესებს იცავს (თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ ასეთ პრობლემებს კრიტიკოსების გარეშეც შეგვიძლია გავართვათ თავი).

მაგრამ, თუკი ტელეკომპანია აგზავნის გადამღებ ჯგუფს ან ვერტმფრენს მორიგი ხანძრის, ტრაგედიის, გადასაღებად, საიდანაც ჩვენ ვერანაირ გაკვეთილს ვერ ვისწავლით - ეს საზოგადოებრივი საქმიანობაა? არა. ხოლო, როდესაც ტელევიზია (არ იფიქროთ, რომ ვერჩი) საათობით არჩევს ჯოდი არიასის დანაშაულის მსუყე დეტალებს, რასაც ჩვენთან არანაირი კავშირი არ აქვს - ეს საზოგადოებრივი საქმიანობაა? არა. როდესაც საიტი აგროვებს ზღვის თევზების ფოტოებს - ეს საზოგადოებრივი საქმიანობაა? არ მგონია. როდესაც გაზეთი აშუქებს საფეხბურთო მატჩებს, ეს საზოგადოებრივი საქმიანობაა? არა. მაგრამ არის კი ეს ყველაფერი ჟურნალისტიკა? ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმით - არა.

მაგრამ, მაშინ რა ის, რასაც ჩვენ ჟურნალისტიკას ვეძახით, მაგრამ რაც არ იცავს არც ადამიანებს, არც პრინციპებს და არ ემსახურება საზოგადოების ინტერესებს? უარეს შემთხვევაში ეს არის ექსპლუატაცია (სატყუარა აუდიტორიისათვის, რეკლამის გასაღება, რეიტინგების გაბერვა, მნახველთა რაოდენობის გაზრდა) უკეთეს შემთხვევაში - გართობა. პირველი - ცუდი რამ არის, მეორე - ყოველთვის არა, რადგან გასართობ მასალას (არ აქვს მნიშვნელობა, ეს არის სტატია, წიგნი, გადაცემა თუ კინო) შეუძლია ადამიანების ინფორმირება და მათთვის ცოდნის გადაცემა. მაგრამ თუკი ის არ შეიცავს ინფორმაციას, რომელიც დაეხმარება ადამიანებს უკეთ მოაწყონ საკუთარი ცხოვრება ან საკუთარი საზოგადოება, ის ჟურნალისტიკის კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს.

ჟურნალისტიკა, როგორც საზოაგდოებრივი საქმიანობა გასართობ ჟურნალისტიკასთან, ეკონომიკური მიზეზების გამო გაერთიანდა: გასართობი მასალები აუდიტორიას იზიდავს და ჟურნალისტური საქმიანობის ხარჯების დაფარვას ეხმარება. თუმცა, მათი გაერთიანება ერთი ტერმინის ქვეშ, შეცდომა იქნებოდა. თითქოს, თუკი გაზეთი ჟურნალისტიკით არის დაკავებული, ყველაფერი, რასაც ჟურნალისტები ამ გაზეთში წერენ ჟურნალისტიკაა? არა. მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ არ არის აუცილებელი იყო ჟურნალისტი იმისთვის, რომ იმას რასაც შენ აკეთებ, ჟურნალისტიკა ერქვას. ეს მუშაობის შედეგია, და არა პოზიციის სახელწოდება. (მოგვიანებით, დავწერ იმ პარადოქსზე, რომელიც ამგვარი სიტუაციით წარმოქმნილ ანაზღაურებას უკავშირდება).

მაგრამ, რატომ აქვს ამგვარ დეტალებს მნიშვნელობა? იმიტომ, რომ, მაშინ, როდესაც კარზე ინფორმაციის წყარო მოგიკაკუნებს, შენ უნდა გადაწყვიტო არა ის, თუ ვის მხარეს ხარ შენ, არამედ ის, თუ რა პრინციპებს ემსახურები. სინამდვილეში, პრესაში მიმდინარე დავა იმის თაობაზე, სნოუდენი გმირია თუ მოღალატე, არასწორი შეკითხვის ირგვლივ მიმდინარეობს. Guardian-ს, როგორც ჟურნალისტურ ორგანიზაციას საკუთარი თავისთვის მხოლოდ ის უნდა ეკითხა, აქვს თუ არა საზოგადოებას უფლება იცოდეს იმ ცნობების შესახებ, რომელიც მას ინფორმატორმა მიუტანა - იმისგან დამოუკიდებლად, რომელმა მხარემ მოიგო ამით (ერთადერთი შეზღუდვაა აქ - არ ავნო საზოგადოების ინტერესებს უსაფრთხოების თვალსაზრისით).

გარდა ამისა, Guardian-ს უნდა გადაეწყვიტა, საჭიროა თუ არა ამ მასალების გადამუშავება, და თუ საჭიროა როგორ. ესეც, რა თქმა უნდა, ჟურნალისტური საქმიანობის ხარისხის კიდევ ერთი კრიტერიუმია. ედუარდ სნოუდენმა, ისევე როგორც Wikileaks-მა, პრესას უამრავი “ნედლი” საიდუმლო დოკუმენტები მიაწოდა. ორივე

შემთხვევაში მედიამ (1) მოაცილა მას ის, რასაც შეიძლება ზიანი მოჰყოლოდა, (2) აცნობა მის შესახებ საზოგადოებას, და რაც ყველაზე მთავარია, (3) ნედლ ცნობებს დაურთო საკუთარი კომენტარები, რომელიც მას განმარტავდა და მის ნამდვილობას ადასტურებდა.

Guardian-ის მკითხველების შეკითხვებზე სნოუდენის პასუხების გაცნობისას, მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ რიტორიკასთან, ისევე როგორც პირად სიმამაცესთან დაკავშირებით მას ყველაფერი წესრიგში აქვს, მაგრამ გაცილებით უარესი მდგომარეობა აქვს კონკრეტიკასთან დაკავშირებით. მე დღემდე არ ვარ დარწმუნებული, აქვს თუ არა მას ცნობები პირველწყაროდან - თუ მას, ისევე როგორც ბრედლი მენინგს, უბრალოდ ხელი მიუწვდებოდა დოკუმენტებზე. ამიტომ აქ საჭიროა ბევრი ჟურნალისტური მუშაობა. ახლახან, Associated Press-ში გამოქვეყნებული მასალა იყო კარგი მცდელობა იმისა, რომ თემას ახალი ცნობები დამატებოდა, კონტექსტი დაზუსტებულიყო და განმარტებულიყო სნოუდენის კვლავინდებურად საეჭვო და სადავო დოკუმენტების ბურუსით მოცული ადგილები.

Associated Press და Guardian წყვეტენ თუ რა უნდა გააშუქონ და გამოაქვეყნონ. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ისინი ეფუძნებიან საკუთარ რწმენას იმაში, რომ ჩვენ გვაქვს უფლება ვიცოდეთ და ჩვენ გვჭირდება ვიცოდეთ. სწორედ ეს არის ჟურნალისტიკა. და ეს არის საზოგადოებრივი საქმიანობაც.

ორიგინალი

http://foreignpress.ge/analitika/4582-zhurnalistika-principebis-da-sazogadoebrivi-interesebis-dacvaa-skhva-shemthkhvevashi-is-zhurnalistika-ar-aris.html?lang=ka-GE

ჯეფ ჯარვისი. ჟურნალისტები არ არსებობენ

გამოცემა : Buzz Machine

ჟურნალისტები არ არსებობენ, არსებობს მხოლოდ ჟურნალისტური მომსახურება.

ვიცი, რომ ეს გადაჭარბებული შეფასებაა, და ჩემი განცხადება "ტვიტ"-პაროდიასავით ჟღერს. მაგრამ დაფიქრდით.

სნოუდენის, გრინვალდისა და ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოსთან (NSA) დაკავშირებული ისტორიის წყალობით, ჩვენთან ხელახლა დაიწყო დებატები თემაზე, თუ ვინ არის ჟურნალისტი და ვინ - არა. უკვე რამდენი ხანია რაც ვამბობ, რომ ეს არასწორი შეკითხვაა, და რომ ჟურნალისტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი: თვითმხილველი, რომელიც თავის ახალ ამბავს უზიარებს მსოფლიოს; ექსპერტი, რომელიც ყოველგვარი ცენზორის გარეშე ხსნის ახალ ამბავს; მამხილებელი, რომელიც მსოფლიოს სკანდალურ დოკუმენტებს აჩვენებს.ანუ, ჟურნალისტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ინფორმაციას გვაწვდის. ეს არასწორი შეკითხვაა, თუკი ვიფიქრებთ, რომ ჟურნალისტიკა არა კონტენტის წარმოება, არამედ სერვისია, რომლის მიზანიც საზოგადოების ინფორმირებაა.

რატომ უნდა განვსაზღვროთ ის, თუ ვინ არის ჟურნალისტი? Times-ის რედაქტორმა მარგარეტ სალივანმა ეს აუცილებლად მიიჩნია, რადგან მისმა გაზეთმა გადაწყვიტა, რომ უფლება აქვს განსაზღვროს თუ ვის შეუძლია ჟურნალისტის მანტიის ტარება; რადგან დაიწყო დებატები გლენ გრინვალდზე, როგორც მათ დამცველზე; რადგან წარმოიქმნა იურიდიული ხასიათის საკითხები. აი, მისი ბრძნული და შესანიშნავი დასკვნა: "ნამდვილი ჟურნალისტი არის ის, ვინც უჯრედის დონეზე აცნობიერებს და არ ერიდება მტრულ ურთიერთობას ხელისუფლებას და პრესას შორის. სწორედ ასეთ დაძაბულ ურთიერთობებს გულისხმობდნენ ამერიკის დამფუძნებლები, როდესაც კონსტიტუციის პირველ შესწორებას იღებდნენ".

ჯონ მაკუიდმა იგრძნო იმის აუცილებლობა, რომ ეკითხა, თუ რატომ გადაჰყავს ჭკუიდან გრინვალდს სხვა ჟურნალისტები. ის მივიდა დასკვნამდე, რომ შეკითხვა იმის შესახებ, თუ ვინ არის ჟურნალისტი და ვინ არა, დიდწილად "პრელუდიაა იმისათვის, რომ მათ საქმიანობას და იმას, რისი თქმაც მათ სურთ, ლეგიტიმაცია გამოაცალონ. ეს ტრაიბალიზმამდე მიდის". ანუ: ჟურნალისტები ბლოგერების წინააღმდეგ. ეჰ.

ღმერთო, გვიშველე. სენატორმა დიკ რუბინმა გადაწყვიტა, რომ უფლება აქვს კანონმდებლებს შესთავაზოს თავად გადაწყიტონ ის, თუ ვინ არის ჟურნალისტი და ვინ არა. მართალია, ისინი უკვე აკეთებენ ამას, როდესაც ლაპარაკი იწყება იმაზე, თუ ვის აქვს უფლება იცავდეს კანონი, რომელიც ათავისუფლებს ჟურნალისტს ინფორმაციის წყაროს გათქმისაგან. მაგრამ მე ნამდვილად არ მინდა, რომ სახელმწიფო გასცემდეს (და ართმევდეს) ლიცენზიებს ჟურნალისტებს. მორჩა, საკმარისია.

ჟურნალისტიკა არ არის კონტენტი; არ არის არსებითი სახელი; არ უნდა იყოს პროფესია ან დარგი; არ უნდა იყოს საქმიანობის სფერო ან გილდია; არ არის დეფიციტი, რომელიც უნდა კონტროლდებოდეს. ჟურნალისტიკა დღეს ახალი ამბების რედაქციებში აღარ კეთდება. და ის არ ამოიწურება მხოლოდ თხრობის მარტივი ფორმით.

მართლაც, რა არის მაშინ ჟურნალისტიკა?

ეს მომსახურებაა. სერვისი, რომლის მიზანიც - ინფორმირებული საზოგადოებაა. საკუთარ სტუდენტებს ჟურნალისტიკის ფაკულტეტიდან, ასეთ ფართო განმარტებას ვაძლევ ხოლმე: ჟურნალისტიკა საზოგადოებას ეხმარება საკუთარი ცოდნის ორგანიზებაში, რათა საზოგადოებამ უკეთ მოახერხოს თვითორგანიზება.

შესაბამისად, ყველაფერი, რაც მყარად ეხმარება საზოგადოების ინფორმირებას, ჟურნალისტიკაა. ამ საქმეში დახმარება ყველას შეუძლია. ნამდვილ ჟურნალისტს უნდა უნდოდეს, რომ ამ ამოცანის შესრულებაში აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანები ერთვებოდნენ. სწორედ ამიტომ დავწერე წიგნი Public Parts, რადგან პატივს ვცემ ღირებულებებს, რომლებიც ჩნდება და ვითარდება საჯაროობის საფუძველზე, თითოეული ადამიანის უნარის საფუძველზე, გაუზიაროს თავისი ცოდნა ყველას და ეთიკის საფუძველზე, რომელიც ამბობს, რომ ერთობლივი მოხმარება ეს სოციალური გულუხვობის აქტია, ხოლო გამჭვირვალობა უნდა იყოს ჩვენი ინსტიტუტების უპირველესი პრინციპი.

შეუძლიათ თუ არა ადამიანებს ამ პროცესში დახმარება? რა თქმა უნდა. დასაწყისში, ორგანიზაციებს შეუძლიათ დახმარება ინფორმაციის შეგროვების მხრივ, მაგრამ ახლა ეს შეიძლება მათ გარეშეც მოხდეს, საზოგადოებისთვის ისეთი მოედნების შექმნით, რომ მათ ერთმანეთს გაუზიარონ და ერთობლივად ისარგებლონ იმით, რაც იციან. შემდეგ, ხშირად ჩნდება ისეთი სუბიექტის საჭიროება, ვისაც შეუძლია ამ პროცესს ფასი შემატოს, შემდეგი ქმედებებით:

- ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემით, რომელზეც ამ საერთო საინფორმაციო ნაკადში პასუხები არ არსებობ
- ფაქტების გადამოწმებით
- ჭორების უარყოფით
- კონტექსტის ჩართვით, განმარტებების და საინფორმაციო ფონის მიცემით
- ისეთი ფუნქციონალური შესაძლებლობების უზრუნველყოფით, რომელიც ინფორმაციის ერთობლივად გამოყენების შესაძლებლობას ქმნის
- თანამეგობრობათა, მოვლენათა თვითმხილველების და ექსპერტების თანამშრომლობის ძალისხმევის ორგანიზებით

ვფიქრობ, სიტყვა “ჟურნალისტი” თავის თავში მოიცავს ასწლეულების გამოცდილებას, და მასთან ასოცირდება ბრძოლა იმისათვის, რასაც აკონტროლებს ჟურნალისტიკა. არ არის აუცილებელი, ასეთ ფუქციებს (და სხვა ფუნქციებსაც) ახორციელებდეს სპეციალურად გაწვრთნილი ადამიანი ან განსაკუთრებული ორგანიზაცია.

რაც შეეხება კანონს. ვფიქრობ, არ არის საჭირო ჟურნალისტის სტატუსი იმისთვის, რომ იცოდე, თუ ვის აქვს იმ კანონით სარგებლობის უფლება, რომელიც ათავისუფლებს ჟურნალისტს ინფორმაციის წყაროს გამჟღავნების ვალდებულებისგან. რადგან ამ განსაზღვრების ქვეშ ისინიც ექცევიან, რომლებსაც აღნიშნული კანონი არ იცავს. ზოგჯერ ასეთ ადამიანებს უწოდებენ მამხილებლებს, ჩვენი ხელისუფლება კი ებრძვის მათ და მათ მხილებებს იმის ნაცვლად, რომ ისინი დაიცვას, მიუხედავად იმისა, რომ მათ მხილებებში არის ინფორმაცია ჩვენს მთავრობაზე და ჩვენზე, ინფორმაცია, რომელიც, როგორც თავისუფალ საზოგადოებას, თვითორგანიზების გაუმჯობესებაში გვეხმარება.

ჩვენ ეს და სხვა საკითხები იმ პრინციპიდან გამომდინარე უნდა განვიხილოთ, რომ უნდა დავიცვათ არა მხოლოდ ადამიანი, რომელსაც კონკრეტული პროფესიული ვალდებულებები, საწერი მაგიდა და ხელფასი აქვს, არამედ უნდა დავიცვათ გამჭვირვალე ხელისუფლების და ინფორმირებული საზოგადოების იდეალები, როგორც აუცილებელი პირობები დემოკრატიისა.

მომავალ კვირას, სიტყვით გამოვდივარ ჟურნალისტების მესამე მსოფლიო საგანმანათლებლო კონგრესზე (World Journalism Education Congress). ვაპირებდი, მათთვის შემეთავაზებინა ის, რომ დაპირისპირებოდნენ ჩვენი ეპოქის ვარაუდებსა და დაშვებებს ახალი ამბებისადმი დამოკიდებულებაზე, მის ფორმებსა და ბიზნესმოდელებზე, ასევე თვალი გადაევლოთ იმისთვის, თუ რას და როგორ ვასწავლით ჟურნალისტებს. ვაპირებდი იმის თქმას, რომ

თუკი ისინი თავიანთ პროგრამებს უწოდებენ “მასობრივ კომუნიკაციებს”, მათ უნდა შეცვალონ ეს სახელწოდება, რადგან თავად ეს სახელწოდებაა შეურაცხმყოფელი იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც ვემსახურებით. დიდი ხნის წინ, ჟურნალისტიკის პროფესორმა ჯეი როზენმა სოციოლოგ რეიმონდ უილიამსის სიტყვები მასწავლა: “სინამდვილეში, არანაირი მასები არ არსებობენ. არსებობს მხოლოდ მეთოდები იმისა, რომ ადამიანები მასებად აღიქვა”. მაგრამ დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა.

ეჭვი მეპარება, რომ დღეს ჟურნალისტიკის განმარტებაზე ლაპარაკის დროა. ასეთი განმარტების ნებისმიერი მცდელობა, ამ საქმიანობის გამიჯვნა ფუნქციური ვალდებულებებისა და ღირებულებებისაგან, როგორც ეს თანამდებობრივ ინსტრუქციებშია, ზღუდავს და საბოლოო ჯამში ანადგურებს ჟურნალისტიკის ზოგად მოწოდებას - საზოგადოების ინფორმირებას.

მაშ, ვინ ვართ ჩვენ? ჩვენ ვართ და ყოველთვის ვიყავით ინფორმირებული საზოგადოების მსახურები.

http://foreignpress.ge/analitika/4578-8-shokismomgvreli-faqti-romlis-moyolis-simamacec-medias-ar-hyofnis.html?lang=ka-GE

საქართველო: ჟურნალისტიკიდან პოლიტიკაში და - პირიქით



2012-10-05 19:33:23

მარიამ ლოლაშვილი

ამართლებენ თუ არა ჟურნალისტები ქართულ პოლიტიკაში?!-ეს კითხვა აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ქრისტიან-დემოკრატებში ყოფილი ჟურნალისტები გაერთიანდნენ. თუმცა ერთ-ერთმა მათგანმა, საკრებულოს დეპუტატმა და ცნობილმა ტელე-სახემ ინგა გრიგოლიამ არჩევნების წინა დღეებში საკუთარ კანდიდატურაზე უარის თქმა მოახერხა და ამით პოლიტიკური შეხედულებების გადაფასებაც გამოხატა. საარჩევნო ციკლის ბოლო ფაზა სწორედ მის საინტერესო სვლებს ადასტურებს, როცა ინგა გრიგოლიამ მოულოდნელად უარი თქვა გლდანში მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე.

თუმცა, მაინც უპასუხოა კითხვა, თავის დროზე რატომ გადაწყვიტა ინგა გრიგოლაიმ მაინცდამაინც ქრისტიან-დერმოკრატებთან გაერთიანება? რა მიიღო და რა დაკარგა პოლიტიკაში ყოფნით? ქდმ-სთან ყოფნის პერიოდი, მისი უახლოესი წარსული, იქნება თუ არა დამღა მისი სამომავლო მოღვაწეობისთვის? რამდენად თავისუფალი იქნება ინგა გრიგოლია ჟურნალისტიკაში იმ გამოცდილების შემდეგ, რაც მას პოლიტიკაში ყოფნით დაუგროვდა და გაუხსენებენ თუ არა მომავალი რესპონდენტები ქდმ-ში ყოფნის პერიოდს?!

სამწუხარია, რომ ინგა გრიგოლიამ ინტერვიუ სახელისუფლო „პრაიმ-ტაიმსს“ მისცა, მაშინ, როცა სხვა სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. თუმცა მის მიერ გამართულ პრესკონფერენცვაზე გაირკვა, რომ იგი ჟურნალისტიკაში დაბრუნდება და პოლიტიკურ შეფასებებს აღარ გააკეთებს. რამდენიმე მედია-პროექტი უკვე მოფიქრებული აქვს და შეთავაზებებიც მიიღო. ტელეკომპანია "მაესტროს" ერთ-ერთ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს მამუკა ღლონტს კი მადლობა გადაუხადა მასთან თანამშრომლობის შეთავაზებისთვის. თუმცა ღლონტთან მიმართებით გრიგოლიას გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ერთი რამ კი ზუსტად იცის - იგი ჟურნალისტიკაში

ბრუნდება; არა მარტო ტელევიზიაში, არამედ - პრესაშიც და რადიოშიც. პოლიტიკასა და, კონკრეტულად, საკრებულოში ყოფნის ორმა წელმა კი მას დიდი გამოცდილება დაუგროვა, რაც მას ობიექტური გადაცემის გაკეთებაში დაეხმარება.

მართალია, "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" თავმჯდომარე გიორგი თარგამაძე ინგა გრიგოლიას დაშინების, შეურაცხყოფისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის მსხვერპლად ასახელებს, რაც მასზე არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე განხორციელდა და, რაც გამოძიების საგანიც შეიძლება გახდეს, მაგრამ ინგა გრიგოლია აღნიშნავს, რომ მის პირად გადაწყვეტილებას პარტიის რეიტინგზე უარყოფითად არ უმოქმედია. ამ არჩევნების შედეგზე გავლენა პატიმართა წამებების ამსახველი ვიდეომასალების გამოქვეყნებამ იქონია,-მიიჩნევს ინგა გრიგოლია.

"მე შემეძლო მეთქვა, რომ ჩემი კანდიდატურა "ქართული ოცნების" სასარგებლოდ მოვხსენი, მაგრამ ასე არ მოვიქეცი. მე კანდიდატურა მოვხსენი იმიტომ, რომ აღარ ეფიქრათ, ხელისუფლების თამაშს ვთამაშობდი ოპოზიციის ხმების გასაყოფად. არ ვაპირებ, ავხტე და გადავხტე სხვა პარტიაში. არჩევნებამდე იმიტომ არ ვისაუბრე, რომ არ მინდოდა გარემო კიდევ უფრო დამეძაბა. ერთადერთს ვურჩევ ახალ მთავარ მოთამაშეს: არ დაუშვას იგივე შეცდომა, არ შეეხონ თავისუფალ სიტყვას და პატივი სცენ განსხვავებულ აზრს. თუ ეს მოხდა, მაშინ ეს ხელისუფლება შედგება, როგორც ყველაზე მართალი ხელისუფლება", - დასძინა ინგა გრიგოლიამ.

For.ge დაინტერესდა, ხომ არ მოხდა ინგა გრიგოლიას პერსონაში გარკვეული გარდატეხა და ხომ არ ინანა მან ქდმ-ში მოღვაწეობის პერიოდი?! ამ შეკითხვებით მივმართეთ ჟურნალისტებსა და ექსპერტებს.

ჟურნალისტი თამარ ჩიქოვანი ეთანხმება აზრს, რომ ინგა ჟურნალისტიკაში გაცილებით პროდუქტიული იყო, ვიდრე პოლიტიკაში. ამდენად, მის დაბრუნებას მიესალმება. ამასთან, იხსენებს, რომ ინგასთვის ყველაზე წარმატებული „იმედში“ მუშაობის პერიოდი გახლდათ. უფრო მეტიც, მართალია, ქდმ-ელებს არჩევნებში მაინცდამაინც წარმატებული შედეგი არ ჰქონიათ, მაგრამ ისინი, ყველანი, წარმატებულნი იყვნენ ზუსტად მაშინ, როცა „იმედში“ მუშაობდნენ და არა - ერთ-ერთ პარტიაში.

თუ რატომ წავიდა ინგა პოლიტიკაში, თამარ ჩიქოვანს მიაჩნია, რომ თავად ინგა გრიგოლია ასეთნაირად თვლიდა, რომ ის იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო. მას ყველა გადაცემა დაუხურეს, არცერთ ტელევიზიაში მისთვის ადგილი არ აღმოჩნდა.

„მესმის, რომ ძალიან აქტიურია, თუმცა მაინც, ალბათ, აჯობებდა, პოლიტიკაში არ წასულიყო ან არასამთავრობო, საზოგადოებრივ სექტორში მოესინჯა ძალები, რადგან პოლიტიკა ჟურნალისტს მაინც დაღს ასვამს. ადრე თუ გვიან, გარკვეულ კრიზისულ სიტუაციაში მას ყოველთვის შეახსენებენ, რომ ის იყო კონკრეტული პოლიტიკური პარტიის წევრი. ასე რომ, მეც მგონია, რომ ჟურნალისტს, ისევე, როგორც ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს, შეიძლება, ჰქონდეს თავისი პოლიტიკური სიმპათიები, მაგრამ ახლა მთლად პარტიასა და პარტიულ სიაში მისი მოხვედრა, მე მგონი, ცოტა ზედმეტია“,-მიიჩნევს თამარ ჩიქოვანი.

ინგა გრიგოლიასა და ქრისტიან-დემოკრატების სიახლოვეს კი იმით ხსნის, რომ ეს ადამიანები ტელეიმედში ერთად მუშაობდნენ. მათი უმრავლესობა ამ ტელევიზიიდან არის წამოსული და მათ გადაწყვიტეს, პარტიაშიც ერთად ეცადათ ბედი.

„მაინც მგონია, რომ ქდმ-ში მარტო პარტიული ფასეულობების ერთიანობა არ ყოფილა. იქ მეგობრობაც იყო და ვთვლი, რომ პარტია მეგობრებმა არ უნდა შექმნან. ცოტა სხვა რამ უნდა იყოს საფუძველი

და არა მეგობრობა, თუნდაც ახლო და დიდხნიანი მეგობრობა“,- აღნიშნავს თამარ ჩიქოვანი.

ამასთან, მისი თქმით, პოლიტიკაში ყოფნით, ალბათ, ინგამაც მიიღო გარკვეული გამოცდილება, რადგან, როგორც წესი, პოლიტიკაში შესული ადამიანები იძენენ ცუდ გამოცდილებასაც და - კარგსაც. ამდენად, ჟურნალისტი ვარაუდობს, რომ ინგას უფრო კარგი გამოცდილება დაუგროვდა; ყოველ შემთხვევაში, იგი უკეთესად ერკვევა განკარგულებებში, კანონებში, რაც ჟურნალისტისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

ჟურნალისტი ალეკო ელისაშვილი ტელემედიაში ინგას მოღვაწეობას უაღრესად პროდუქტიულად აფასებს. თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ პოლიტიკაში ინგა ძალიან არაპროდუქტიული იყო. მართალია, ალეკო ელისაშვილისთვის აბსოლუტურად მისაღებია, როცა ჟურნალისტები პოლიტიკაში მიდიან, თუმცა იმასაც აღიარებს, რომ ჯერჯერობით გამოცდილებამ ვერ გვიჩვენა, რომ პოლიტიკაში მოსულ ჟურნალისტებს გაემართლებინოთ.

„პოლიტიკოსად არავინ იბადება, ძალიან ნორმალურია ჟურნალისტი პოლიტიკაში მოვიდეს, მაგრამ პირადად მე მერჩივნა, რომ თავის დროზეც ინგა ჟურნალისტიკაში დარჩენილიყო და არ წასულიყო პოლიტიკაში; მით უმეტეს, არ წასულიყო იმ პარტიაში, რომელ პარტიაშიც გვევლინებოდა“.

ამასთან, ალეკო ელისაშვილი სულ სხვა ინფორმაციას ფლობს, რომ, გლდანის მაჟორიტარად ყოფნის პერიოდში ინგა გრიგოლიას კანდიდატურა არ მოუხსნია. უბრალოდ, მან განაცხადა, კანდიდატურას მოვხსნიო, თუმცა შემდეგ არ მოუხსნია და, საერთო ჯამში, ბიულეტენში ინგა გრიგოლიას გვარი ისევ ეწერა.

„უკეთესი იქნებოდა, საკუთარი კანდიდატურა მოეხსნა. მთელი ამდენი ხანი დახარჯა პოლიტიკაში და მით უმეტეს, - იმ პარტიაში. თუმცა არ ვფიქრობ, რომ სამომავლოდ, ჟურნალისტურ

მოღვაწეობაში პოლიტიკური წარსული მისთვის დამაბრკოლებელი იყოს. ინგა ნიჭიერი ქალია და ამ დაღიდან თავის დაღწევას მოახერხებს. ამას ყველანი ვნახავთ“,-აღნიშნა ალეკო ელისაშვილმა.

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე მიიჩნევს, რომ ინგა გრიგოლიამ პოლიტიკაში ბევრის გაკეთება ვერ მოასწრო, მაგრამ პოლიტიკიდან მისი წასვლა ნამდვილი ტრიუმფი იყო. უფრო მეტიც, ინგას ბოლოდროინდელი განცხადება, როდესაც იგი განუდგა გუშინდელ მეგობრებსა და თანამებრძოლებს და განაცხადა, ჩემმა გუნდმა მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რასაც მე არ ვეთანხმები, ამიტომ მივდივარ პოლიტიკიდანო - ეს გახლდათ ადამიანის ღირსების, თავმოყვარეობის, სიამაყის თაიგული.

ჟურნალისტიკაში მის დაბრუნებას სოსო ცინცაძე თანამედროვე ჟურნალისტიკისთვის დიდ შენაძენად აფასებს. მისი აზრით, ახალ ვითარებაში გაცილებით მეტი შესაძლებლობა ეძლევათ ჟურნალისტებს, რადგან ქვეყანაში თოქ-შოუების ბუმია. ინგაც ამ დისკუსში, თოქ-შოუების სივრცეში, შეიტანს ჯანსაღ კონკურენციას და მის ფონზე ცოტა გაფერმკრთალდებიან გუშინდელი და დღეს უკვე გარდამავალ პერიოდში მყოფი ტელეკომპანიების, თოქ-შოუების წამყვანები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ოპოზიციონრები იყვნენ და უკვე სახელისუფლო სექტორში გადადიან.

„ასეთ სიტუაციაში, რასაკვირველია, ინგა ბევრს დაჩრილავს და ჯანსაღი კონკურენცია იქნება. ვფიქრობ, ქდმ-ში ყოფნამ არ დააკნინა ინგას ღირსება. მისი საკრებულოში ყოფნისას ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ინგა, საკუთარი პარტიის ლიდერებთან შედარებით, გაცილებით რადიკალური იყო. საერთოდ, საკრებულოს ოპოზიცია გაცილებით რადიკალური ჩანდა, ვიდრე საპარლამენტო ოპოზიცია. ინგას ყოველი გამოსვლა იყო კრიტიკისა და უკოპრომისო ბრძოლის გამოხატულება“.

თუ რატომ წავიდა ინგა გრიგოლია ქრისტიან-დემოკრატებში, ამის განმარტება სოსო ცინცაძეს უჭირს, თუმცა მიიჩნევს, რომ ქრისტიან-დემოკრატები თავიდანვე გარკვეულ იმედებს იძლეოდნენ და შეიძლებოდა, ისინი გადაქცეულიყვნენ ჯანსაღ საპარლამენტო ოპოზიციად. პოლიტოლოგის აზრით, როდესაც ქდმ-მ არ დაჭრა მანდატები, მათ ამით დაამტკიცეს, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს.

„მათ კი, ვინც ჭრიდა თუ წვავდა მანდატებს და უარს ამბობდა პარლამენტში შესვლაზე, შეცდომა დაუშვეს. სამაგიეროდ, ამით მოიგო საპარლამენტო უმრავლესობამ. ქდმ-მ მაშინ სწორი ნაბიჯი გადადგა. თანაც, პრინციპულ გამოსვლებში თარგამაძე, ვეფხვაძე, ახვლედიანი კლასიკურ საპარლამენტო მებრძოლებად ჩამოყალიბდნენ. მართალია, ისინი უმრავლესობაში არ იყვნენ და კანონს ვერ მიიღებდნენ, მაგრამ იმავე პრეზიდენტის თანდასწრებით, მნიშვნელოვან გამოსვლებში თარგამაძე უკვე ჩამოყალიბებული იყო. იმ დროს სხვა ოპოზიცია არ ჩანდა, ახლა ინგა გრიგოლია ჩახვაძესთან ხომ არ მივიდოდა, ან დავითაიასთან?! ქრისტიან-დემოკრატებს რომ არ დაეშვათ კატასტროფული შეცდომა კენჭისყრაში ვიდეოგადაღებების თვალსაზრისით, გამორიცხული არ არის, მათ აექაჩათ ის 6 %-იანი ბარიერი“.

ამის მიუხედავად, სოსო ცინცაძე ადასტურებს, რომ ინგა გრიგოლიას წასვლამ თავისი ფანების, გულშამატკივრების ხმებიც წაართვა ქრისტიან-დემოკრატებს, რადგან ინგა მარტო არ წასულა. უფრო ზუსტად, თავის დროზე ინგა გრიგოლია ქდმ-სთან პოტენციური ხმების „ბაგაჟით“ მივიდა და უკან წამოსვლისას, მათთვის მიტანილი ხმები წამოიღო.

ტელეკომპანია „მაესტროს“ დამფუძნებელი მამუკა ღლონტი, რომელმაც ინგა გრიგოლიას ჟურნალისტიკაში დაბრუნება და „მაესტროზე“ მუშაობა შესთავაზა, აცხადებს, რომ ჯერჯერობით

ინგასთან არ უსაუბრია. შესაბამისად, გაუჭირდება მის სამომავლო გადაწყვეტილებაზე კომენტარის გაკეთება.

„თუ მას დაველაპარაკები, გავარკვევ, ან რატომ წავიდა პოლიტიკაში ან რატომ წამოვიდა, მაშინ შემეძლება კომენტარის გაკეთება. ჯერ იგი არც მინახავს და რომელ გადაცემას შევთავაზებ, ვერ გეტყვით. არც ის ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები. თუმცა შემიძლია, გითხრათ, რომ ის პარტია, რომელშიც ინგა მოღვაწეობდა, არ ყოფილა პარტია; უბრალოდ, ის იყო თანამგზავრი ერთ-ერთი პარტიის, მის დავალებებს ასრულებდა, რაც ძალიან კარგად გამოიკვეთა ბოლო დროს. შესაბამისად, მე ვერ ვიტყვი, რომ ინგა როდისმე პოლიტიკაში იყო,“-აცხადებს მამუკა ღლონტი და ჟურნალისტიკაში მის დაბრუნებას მიესალმება, რადგან მედიაში ბევრად უფრო აქტუალურად და ხალხისთვის მეტი სარგებლის მომტანად მიიჩნევს.

„გეთანხმებით, შესაძლოა, ინგაში გადაფასებაც მოხდა, რახან ასე მოიქცა“,-განმარტავს მამუკა ღლონტი.

http://for.ge/view.php?for_id=17266&f_cat=3&a_title=Jurnalistikidan+politikaSi+da+-+piriqiT+